

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

მ ო ა მ ბ ე

BULLETIN

#2///(42)

თბილისი-**TBILISI**-2019

UDC (უაკ)63+338.4+664](08)

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES

მ ო ა მ ბ ე

(სამეცნიერო შრომათა კრებული)

B U L L E T I N

(Scientific Papers)

#2////(42)

საერთაშორისო სამეცნიერო-
მეთოდოლოგიური და პრაქტიკული,
რეფერირებული
სამეცნიერო
შრომათა კრებული

International Scientific-Methodological and Applied Referenced Scientific Papers

სამეცნიერო შრომათა კრებული გამოდის
1992 წლიდან.
გამოიცემა წელიწადში ორჯერ.
Collection of Scientific Papers is published since 1992.
Published twice a year.
p. 599-22-75-50
E-mail: areal55555@gmail.com
www. gaas.dsl.ge

ISSN 1512-2743

გამომცემლობა "აგრო"
Tbilisi-2019
Publisher " Agro"
TBILISI-2019

გურამ ალექსიძე
სარედაქციო–სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ჯაფარიძე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), ო.ქეშელაშვილი (საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი), ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, რ.კოპალიანი, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, გ.პაპუნიძე, თ. რევიშვილი, გ.ტყემელაძე, ზ.ფუტკარაძე, ნ.ქარქაშაძე, თ.ყურაშვილი, ზ.ჩანქსელიანი, ნ.ჩხარტიშვილი, რ.ჩაგელიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცქიტიშვილი, რ.ჯაბნიძე, ნ.ჭითანავა, ა.გიორგაძე (აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე).

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

პროფესორები: ვლადიმერ ლოგინოვი (ბელორუსია), იაროსლავ გაზდალო (უკრაიანა), რაიჩო გეორგიევი (ბულგარეთი), ვიტალი კუჩერიავი (უკრაინა), ნიკოლოზ პოვოზნიკოვი (უკრაინა), იან პიკული (პოლონეთი), გჟეგოჟ როჩკა (პოლონეთი), იოსეფ კანია (პოლონეთი), ანდრეი ლეპიარჩიკი (პოლონეთი),სოკ-იონგ ლი (კორეა), აზიმხან სატიბალდინი (ყაზახეთი), პანომირ ცენოვი (ბულგარეთი) ზეინალ აკპაროვი (აზერბაიჯანი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია:

გ.ალექსიძე-მთავარი რედაქტორი, გ.ჯაფარიძე-მთავარი რედაქტორის მოადგილე, ო.ქეშელაშვილი-პასუხისმგებელი რედაქტორი, ე.შაფაქიძე, ა.გიორგაძე.

G.Aleksidze,

The Head of Editorial-Scientific Board, Doctor of Biological Sciences, Professor, Academician, President of Georgian Academy of Agricultural Sciences.

Editorial-scientific Board:

Academicians of Georgian Academy of Agricultural Sciences: G.Japaridze (Deputy Head of Editorial-Scientific Board), O.Keshelashvili (Secretary of Editorial-Scientific Board)), J.Gugushvili, J. Katsitadze, N. Karkashadze, R.Kopaliani, T.Kurashvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, G.Papunidze, Z.Phutkaradze, T.Revishvili, G.Tkemaladze, R.Chagelishvili, Z.Chankseliani, N.Chitanava, N.Chkhartishvili, E.Shapakidze, Z.Tskitishvili, R.Jabnidze, A.Giorgadze (Deputy President of the Academy).

Foreign members of Editorial–scientific Board:

Professors: V. Loginov (Belarus), I. Gadzalo (Ukraine), R. Georgiev (Bulgaria), V. Kucheriavy (Ukraine), N. Povoznikov (Ukraine), I. Piculi (Poland), G. Rochka (Poland), J. Kania (Poland), A. Lepiarczyk (Poland), Soc-Yong Lee (Korea), A. Satibaldin (Kazakh), P. Tzenov (Bulgaria), Z.Akparov (Azerbaijan), S. Salakhov(Azerbaijan), G.Gadjiev (Azerbaijan).

Publishing Board:

G.Aleksidze (Editor in-chief), G. Japaridze (Vice chief editor), O. Keshelashvili (Deputy editor), E.Shapakidze, A.Giorgadze.

1. მეცნიერება
Sciences

საქართველოს სოფლის მეურნეობა–გადასაწყვეტი პრობლემები და პრიორიტეტები

გურამ ალექსიძე-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი,
გივი ჯაფარიძე-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი,
ომარ ქეშელაშვილი-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, გადასაწყვეტი პრობლემები, საწარმოო-რესურსული პოტენციალი, ინტენსიური განვითარება, პრიორიტეტები, მეცნიერული უზრუნველყოფა, სამეცნიერო პროგრამა, აგრარული სექტორის პროდუქტიულობის ამაღლება.

რეფერატი

აღნიშნულია საქართველოს სოფლის მეურნეობის დიდი პოტენციალური შესაძლებლობებისა და მისი არასრულად, არარაციონალურად და არაეფექტურად გამოყენების შესახებ, აგრეთვე ამის გამომწვევ მიზეზებზე, რამც თვალსაჩინო დისპროპორციები შექმნა წარმოების ზრდის თვალსაზრისით. ჯერ კიდევ დიდი შეუსაბამობებია აგრარული სექტორის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ცალკეული ელემენტის ურთიერთშეჯერებული და შეწონასწორებული გამოყენების ერთიან სისტემაში.

მითითებულია, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტობრივი დონე და მისი ზრდის ტემპი ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია. ბოლო 15 წელიწადში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 55-58 % ზე მეტად არ გაზრდილა. ყოველივე ეს საკმაოდ შემაშფოთებელია თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეროვნული ეკონომიკა 17-18 % ით პირდაპირ არის დამოკიდებული აგრარულ ბაზარზე.

გამოყოფილია ის მეცნიერული მიმართულებები, რომელთა რეალიზაციაც აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი, მდგრადი განვითარებისათვის.

გამახვილებულია ყურადღება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე.

შემოთავაზებულია სამეცნიერო პრიორიტეტული პროგრამა, რომლის დამუშავებაც შესაძლებელია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში: „საქართველოს აგრარული სექტორის პროდუქტიულობის ამაღლებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის ტექნოლოგიური პოტენციალის სტრატეგიული სისტემისა და მიზნობრივი რეკომენდაციების დამუშავება“. მოცემულია პროგრამის დამუშავების მიზანი და მისი რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგი.

Georgian Agriculture – Problems and Priorities

Guram Aleksidze- President of Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician,
Givi Japaridze- Vice President of Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician,
Omar Keshelashvili- Secretary of Scientific Department of Economy of Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician

Key words: Agriculture, industrial – resource potential, Intensive development, priorities, scientific program, raising productivity of agrarian sector

Abstract

The article deals with large potential of Georgian agriculture and its non-rational and ineffective use; discusses the main reasons which caused disproportionate development of industry. There is some inconsistency between separate economic and technical elements in the system of agrarian sector.

The authors indicate to a slow pace in development of agriculture - gross national agricultural product has increased only by 55-58%. The slow growth is rather alarming if we consider that country's 17-18 % of national economy depends on agrarian sector. A particular focus is made on development and implementation of some important directions in agrarian science which is very important for further sustainable development of agriculture in Georgia. Also, the problem of production of ecologically pure product is discussed in the paper.

The authors offer new scientific program which could be worked out at Georgian Academy of Agricultural Sciences: "Working out strategic systems and purposeful recommendations for raising productivity, increasing technological potential and ensuring sustainable development of agriculture." The aim and purpose of working out this program and some expected results are presented in the article.

მემცენარეობა
plant-industry

საშემოდგომოდ ნათესი ხახვის თესვის ვადების შესწავლა და ჯიშების შერჩევა აღმოსავლეთ საქართველოს მებოსტნეობის მეორე ზონისთვის

ელენე მთიაშვილი-სიჭინავა, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ირმა ირემაშვილი-ბიოლოგიის მაგისტრი

საკვანძო სიტყვები: საშემოდგომო ხახვი, თესვის ვადა, თესლი, საადრეო ხახვი, ინტროდუქცირებული ჯიშები.

რეფერატი

ცდის მიზანს წარმოადგენდა, აღმოსავლეთ საქართველოს მებოსტნეობის მეორე ზონისთვის საშემოდგომოდ ნათესი ხახვის თესვის ვადების შესწავლა, სამწვანილე (საფოჩე) ხახვის მიღება გვიან შემოდგომაზე, ადრე გაზაფხულზე, ბოლქვის საადრეო მოსავლის მიღება და ჯიშების შერჩევა. ამისთვის 2014-2017 წლებში ცდა დაყენებული გვქონდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ბაზაზე.

ცდაში დათესილი გვქონდა როგორც ადგილობრივი ასევე შემოტანილი ჯიშები, შევისწავლეთ ამ ჯიშების ზამთარგამძლეობა, მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეობა, მათი ბიომორფოლოგიური ნიშნები და მოსავლიანობა სხვადასხვა ვადებში. გამოვარჩიეთ ორი ინტროდუქცირებული ჯიში SX 136 და "ტექსას", რომელიც 2017 წელს დათესილი გვქონდა წინასწარ ჯიშთა გამოცდის სანერგეში. ეს ფორმები ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით, არ უჩნდება ხახვის ბუზი (მავნებელი) და არც დაავადებები. მთელი ვეგეტაციის პერიოდში არ მოითხოვს წამლობას პესტიციდებით. ესე იგი მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეა და ვღებულობთ საადრეო პროდუქტს (ხახვის ბოლქვს) ივნისის მეორე დეკადაში, იმ პერიოდში როცა ბაზარზე ხახვის ბოლქვი უკვე დეფიციტია.

ცდის შედეგიდან დადგინდა, რომ ხახვი ყინვაგამძლეობით, მოსავლიანობის მაღალი მაჩვენებლით, მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეობით და ბიოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით შერჩეული

საშემოდგომო თესვის ვადებიდან საუკეთესო გამოდგა ხახვის თესლით თესვა 5-დან 15 სექტემბრამდე. უფრო გვიანი თესვის შემთხვევაში მცენარე ვერ ასწრებს გაზრდას და მცირე ყინვებიც -3-4^{0}C უარყოფითად მოქმედებს მასზე და ხდება ნათესის მთლიანი წაყინვა.

Study sowing date of autumn sown onion and choose the varieties for the second zone of olericulture of eastern Georgia

Elene Motiashvili–Sitchinava- Doctor of Agricultural Sciences,
Irma Iremashvili- Master

Key wsord: Autumn-sown onion, Sowing date, Seed, early onion varieties, introduced varieties.

Abstract

The aims of the field experiment were to study sowing date of autumn-sown onions for the second zone of olericulture in eastern Georgia, get green onion yield in late autumn and in early spring. Also, get an early yield of onion bulbs and choose proper onion varieties. The experiment held on at the Scientific-Research Center of Agriculture in Tsilkani, Mtskheta municipality, during 2014-2017.

There were local onion variety and introduced varieties in the experiment. We study frost resistance, pest resistance, morphological features and yield in different sowing time. Two introduced varieties "SX136" and "Texas" were selected, which also were tested at variety testing nursery in 2017. Both are high yielding varieties and resistant to fungal diseases and onion fly. They don't need pesticides use during a vegetation period and we get early yield in the second decade of June when onion bulbs are deficient in markets.

According to frost resistance, high yield, and biological features, the best sowing period in autumn is from 5 to 15 September. In the case of later sowing time, the onion plants don't reach the optimal size and -3-4 ^{0}C frost negatively affect to the emerged plants and destroy them.

Послеуборочное дозревание семян зерновых культур

Нодар Мерабишвили – доктор с/х наук, профессор,
Мариам Мерабишвили – докторант,
Лали Баидаури-академический доктор с-х наук

Ключевые слова: Послеуборочный, дозревание, пшеница, ячмень, овес, рожь, тритикале, жизне-способность.

Реферат

Сортовые различия по продолжительности периода послеуборочного дозревания проявлялись в пределах одного года, но они не сохранялись на протяжении всех лет исследований. Объяснить это можно тем, что максимальный налив семян у разных сортов приходится на периоды с неодинаковыми погодными условиями. Поэтому свежеубранные семена одних и тех же сортов по-разному прорастают в отдельные годы.

After-harvest ripening of seeds of grain crops

Nodar Merabishvili – Doctor of Agricultural Sciences, Professor,
Mariam Merabishvili – PhD. student,
Lali Baidauri-Academic doctor of Agriculture

Key words: Post harvest, ripening, wheat, barley, oats, rye, triticale, viability.

Abstract

Varietal differences in the duration of post-harvest ripening period were manifested within one year, but they did not persist throughout all the years of research.This can be explained by the fact that the maximum seed filling for different varieties falls on periods with unequal weather conditions. Therefore, freshly harvested seeds of the same varieties grow differently in different years.

სელექცია და გენეტიკა
Breeding and Genetics

სიმინდის - Zea Mays L ზოგიერთი სელექციური ჯიშის ფენოლური ნაერთები და ანტიოქსიდანტური აქტივობა

ოთარ ლიპარტელიანი- პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ- კორესპონდენტი,
ზურაბ ბუკია -სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ნუნუ გოგია -მეცნიერ-თანამშრომელი,
ციცინო ათამაშვილი -მეცნიერ-თანამშრომელი

საკვანძო სიტყვები: სიმინდი, ჰიბრიდები, ჯიში, სამედიცინო ღირებულება, ანტიოქსიდანტური აქტივობა

რეფერატი

კვების ზოგიერთ პროდუქტში შემავალი პოლიფენოლები-ეგზოგენური ტიპის ანტიოქსიდანტებია, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზაციაში და ამით, იცავენ ადამიანს მრავალი დაავადებისაგან.

ნაშრომში მოყვანილია საქართველოში სელექციის სხვადასხვა მეთოდით მიღებული სიმინდის 4 ჯიშის ფენოლური ნაერთების შემცველობის დინამიკისა და ანტიოქსიდანტური აქტივობის შესწავლის შედეგები, სასაქონლო პროდუქციის (მარცვალი) შენახვის ერთი წლის მანძილზე.

მიღებული მახასიათებლებით დადგენილია ჯიშებს შორის სხვაობის პარამეტრები და სიმინდის კულტურის მნიშვნელობა სამედიცინო თვალთახედვით.

Zea Mays I. Phenolic compounds of some selective varieties and antioxidant activity

Otar Liparteliani - Professor, Member-Corresponding of Georgian Academy of Agricultural Sciences,
Zurab Bukia - Academic Doctor of Agricultural,

Nunu Gogia – scientist,
Tsitsino Atamashvili - Scientist

Key words: Corn, hybrids, Breed, Medical value, Antioxidant activity

Abstract

Polyphonols in some food sources are exogenous type antioxidants that play a major role in neutralizing free radicals and thus protect people from many diseases.

The study provides results of the dynamics and antioxidant activity of phenolic compounds of maize 4 breeds obtained from various methods of selection of the product of commodity (grains) during a year.

Parameters of variety are determined from gained characteristics and corn culture importance from the medical perspective.

მანდარინის -Citrus Reticulata Bl. ზოგიერთი ნაგალა ჯიშის მსხმოიარობის ხასიათი ჰიბრიდიზაციისას

ზურაბ ბუკია -სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: მშობელთა წყვილები,დამამტვერიანებელი,ჰიბრიდიზაცია,გამონასკვა

რეფერატი

ნაშრომში მოყვანილია მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა დამამტვერიანებლის გავლენასთან ნაგალა მანდარინების ზოგიერთი ჯიშის ნაყოფის გამონასკვის გაზრდისათვის.

ექსპერიმენტის შედეგად მიღებული შედეგებით დადგენილია დამამტვერიანებელთა კეთილგავლენა ნაყოფების გამონასკვის გაზრდისათვის. დადგენილია აგრეთვე დადებითი კორელაცია ეფექტურ დამამტვერიანებელსა და ნაყოფის გამონასკვის გაზრდას შორის.

ბუნებრივია, სწორად შერჩეული წყვილი, ეფექტური დამამტვერიანებელი,მეთოდურად წარმართული ჰიბრიდიზაცია და სელექციონერის კვალიფიკაცია , სასურველი შედეგის მიღების უტყუარი გარანტიაა.

Tangerine -Citrus Reticulata Bl. Some hybridization of some nutrient breeding nature

Zurab Bukia – Academic Doctor of Agricultural

Key words: parental couples,pollinating, Hybridization, knotting

Abstract

The work provides the data relating to the various pollinating influence for increasing some species of tangerine knotting.

Results obtained through experiment have established the effectiveness for increasing the pollination of fruits.

Apositive correlation between effective pollination and knotting of the fruit increase has been established.Naturally, the correctly chosen pair, effective pollinating, methodically led hybridization and qualification of the breeder, is a guarantee of obtaining the desired result.

ციტრუსოვანთა აპომიქტური გამრავლების საკითხისათვის

ზურაბ ბუკია -სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ევოლუცია, სახეობის სტაბილურობა, აპომიქსისი, აპომიქტური გამრავლება

რეფერატი

ნაშრომში გავაანალიზებულია აპომიქტური გამრავლების შეუცვლელი როლი ციტრუსოვანთა ჯიშების ცხოველმყოფელობისა და დაქვეითებული პოტენციის ამაღლებისათვის. კვლევის საკუთარმა შედეგებმა მოგვცა გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა. ყურადსაღებია, რომ თანამდეროვე ეტაპზე ციტრუსოვანთა ჯიშების განახლება უალტერნატივოა და საჭიროა მეთოდების პრაქტიკულად გამოყენების გაფართოება. აპომიქსისი ფართოდაა გამოყენებული უმეტეს ყვავილოვან მცენარეებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა მცენარეებში, სახეობათა ფილოგენეზურ მიმართებაში. მონაცემებით დადგენილია, რომ აპომიქსისი დადგინდა 400-ზე მეტი გვარისათვის. ეს კი, თავის მხრივ, მოიცავს რამდენიმე ათას სახეობას.

For the issue of apommatic multiplication of citruses

Zurab Bukia – Academic Doctor of Agricultural

Key words: evolution, stability of species, apomixis, apommatic multiplication

Abstract

In the work, we analyzed the irreplaceable role of multiplication for the increase of vital life of citrus varieties and for enhancing decreased potential. The results of the survey gave us a chance to make a conclusion.
It is noteworthy that renewal of citrus varieties at the modern stage is unlikely and it is necessary to widen the practical use of methods.

pomixis is widely used in most floral plants, Especially in young plants, towards phylogenesis species. According to the data, apomixes was established for more than 400 species.

სიმინდის ახალი ქართული თვითდამტვერილი ხაზების გენეტიკური და სელექციური შესწავლა

ლიანა ქირიკაშვილი - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ოთარ ლიპარტელიანი–პროფესორი, ს/მ მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტი,
ფილარეტ ბეგოიძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: სიმინდი, ჰიბრიდი, ხაზი, კომბინაციური უნარიანობა.

რეფერატი

სიმინდის ახალი თვითდამტვერილი ხაზების გამოსაყვანად გამოვიყენეთ ამერიკული, ფრანგული, უკრაინული, ქართული ჰიბრიდები და ადგილობრივი ჯიშები. შევისწავლეთ მიღებული ხაზების კომბი–ნაციური უნარიანობა და ციტოპლაზმური მამრობით სტერილობის (ცმს) სხვადასხვა ტიპებზე რეაქცია.

გამოკვლევების შედეგად დავადგინეთ ხაზების გენოტიპებში Rf გენების ალელების შემადგენლობა. გამოვავლინეთ პერსპექტიული საწყისი მასალა.

მაღალმოსავლიანი საშუალო-საგვიანო ვეგეტაციის ჰიბრიდების მისაღებად გამოირჩევიან ყვითელმა–რცვლიანი ხაზები: ამ73, ამ75, იმ56, ლ51, ლაფსკალდი9 და თეთრმარცვლიანი ხაზები: თ63, თ73, თ98, აჯ.თ 2, ფ 476, პ 1-22.

New self polinated Georgian lines of maize and their geneticcal and seleqtion study

Liana Kirikashvili – Academic Doctor of Agrikulture,
Otar Liparteliani – Proffessor,
Filaret Begoidze Academic Doctor of Agrikulture

Key words: maize, hybrid, line, combinational ability.

Abstract

To recive newself polinatedmaize lines we haveused Amerikan, Francian, Ukrainian, Georgian hibrids and locai varieties. We have studied combining ability of new lines and their reaction to different types of citoplazmic mail sterility. It was found out that there are Rf gene allels in genotypes of new lines. We have developed perspective initial material. For breeding of mid-late vegetation hibrids we have interesting yellow maizelines: Am 73, Am75, Im 56, Lafscald 9 and white maize lines: T 63,, T 73, T 98, Ad.t 2, F476, P1-22.

მეციტრუსეობა და სუბტროპიკული კულტურები
Citruce and Subtropical crops

ფეიჰოას პერსპექტიული ფორმების კვლევის შედეგები

ვ. გოლიაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ც. ქაშაკაშვილი - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
დ. აფხაზავა - ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
თ. რევიშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

საკვანძო სიტყვები: სელექციური ფორმა, ნათესარი, დაკალმება, სტიმულატორი, მოსავლიანობა, ნაყოფის ქიმიური შედგენილობა, ორგანოლეპტიკური მახასიათებლები.

რეფერატი

ნაშრომში მოცემულია ფეიჰოას სხვადასხვა ჯიშის ნათესარებიდან გამორჩეული და ვეგეტატიურად (დაკალმებით) გამრავლებული მცენარეთა სელექციური ფორმების მოსავლი-ანობის, სიმწიფის პერიოდის, ნაყოფის პომოლოგიის და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების კვლევის შედეგები, შერჩეულია და რეკომედებულია საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში სამრეწველო მასშტაბით დანერგვისათვის 5 ფორმა: №578, №310, №440, №430, №450.

The results of the research of prospective forms of Feijoa

V. Goliadze – Academic doctor of Agriculture,
Ts. Kashakashvili - Academic doctor of Agriculture,
D. Apkhazava – Academic doctor of Technics,
T. Revishvili – Academician of Georgia Academy of Agricultural Sciences

Key words: selective form, relative, cuttings, stimulator, productivity, chemical composition of the fetus, organoleptic characteristics.

Abstract

The tudy provides the results of research about the productivity, period of maturity, pomology and the organoleptic characteristics, distinguished from various breeds of relatives and vegetatively reproduced (cuttings) plant species. According to the results, five forms were selected and are recommended to be planted within subtropical areas of Georgia in an industrial scale, as well. These forms are: # 578, # 310, # 440, #430, # 450.

იაპონური მუშმულის პერსპექტიული ფორმების კვლევის შედეგები

ვ. გოლიაძე სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ც. ქაშაკაშვილი სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
დ. აფხაზავა ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
თ. რევიშვილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

საკვანძო სიტყვები: სელექციური ფორმა, პომოლოგია, ფენოფაზა, ბიომეტრული მახასიათებლები, ბიოქიმიური მაჩვენებლები

რეფერატი

ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა ფორმის იაპონური მუშმულის კვლევის შედეგები შემდეგი მიმართულებით: თესლის აღმოცენების უნარი, ნათესარების ბიომეტრიული მახასიათებლები და მცენარის ზრდა-განვითარების ფენოლოგიური ფაზები; ნაყოფების პომოლოგიური და ბიოქიმიური მაჩვენებლები; პერსპექტიული ფორმების შერჩევა.

Research results of promising forms of the Japanese medlar

V. Goliadze – Academic doctor of Agriculture,
Ts. Kashakashvili - Academic doctor of Agriculture,
D. Apkhazava – Academic doctor of Technics,
T. Revishvili – Academician of Georgia Academy of Agricultural Sciences.

Key words: Selection forms, pomology, phenological phases, biometric characteristics, biochemical parameters.

Abstract:

The article presents the results of studies of various forms of the Japanese medlar in the following areas: the ability to germinate seeds; biometric characteristics and phenological phases of plant growth and development; pomological and biochemical indications of fruits; selection of promising forms.

ნიადაგმცოდნეობა და აგროქიმია
Soil Science and Agrochemistry

კომპლექსური სასუქების გავლენა სიმინდის მოსავლიანობაზე მდელოს ყავისფერი ნიადაგების პირობებში

ზაურ ჩანქსელიანი-სმმ დოქტორი,
გიორგი ორმოცაძე- სმ აკადემიური დოქტორი,
ალექსანდრე მეგრელიძე- ბმ აკადემიური დოქტორი,
გიორგი გვენცაძე- მაგისტრი,
თეა მესხი-ბმ აკადემიური დოქტორი,
ელენე მაგლობლიშვილი - ბაკალავრი

საკვანძო სიტყვები: კომპლექსური სასუქები; სიმინდი; მდელოს ყავისფერი ნიადაგი

რეფერატი:

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული კომპლექსური სასუქების ასორტიმენტიდან, ნიადაგის ტიპიურობის მახასიათებლებისა და ნაყოფიერების დონის შესაბამისი ფორმების სწორი შერჩევა და მათი გამოყენებისათვის რაციონალური მეთოდების და ოპტიმალური ნორმების განსაზღვრა. საველე ცდა მოეწყო გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შინდისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე. საცდელად შეირჩა რეგიონში ადაპტირებული სიმინდის ჯიში „ქართული კრუგი“.

Influence of complex fertilizers on maize yield on meadow-cinnamonic soils

Z. Chankseliani-Doctor of Agr.Sc,
G. Ormotsadze-PhD in Agr.Sc,
A. Megrelidze-PhD in Biol.Sci,
G. Gventsadze-MSc in Agri.Sc,
T. Meskhi-PhD Biol.Sc,
E. Magloblishvili-BSc in Agr

Key words: complex fertilizers, maize, meadow cinnamonic soil.

Abstract

The main objective was to select the appropriate types of fertilizers available on the market in Georgia and to establish optimal norms and dosage of their use based on actual soil fertility and soil properties.

The field trial was organized in the village of Shindisi, municipality of Gori, on the experimental plot the Scientific-Research Centre of Agriculture. Local variety of maze "Georgian Krug", which is adapted to the local soil clamatic conditions, was used in the field trials.

მერგელის (ტკილის) გამოყენებით ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება დასავლეთ საქართველოს მჟავე ნიადაგების პირობებში

გიორგი ღამბაშიძე- ს|მ აკადემიური დოქტორი,
ნაირა კენჭიაშვილი-ს|მ აკადემიური დოქტორი,
მაია თარხნიშვილი- მაგისტრი,
გულიზა ზარდიაშვილი-ს|მ აკადემიური დოქტორი,
თამარ ჯოლოხავა - მაგისტრი

საკვანძო სიტყვები: ტკილი,მერგელი,მჟავე ნიადაგი,სიმინდი,მელიორანტი.

რეფერატი:

დასავლეთ საქართველოს მჟავე არის რეაქციის მქონე ნიადაგებში მერგელის ორი წლის განმავლობაში შეტანამ საგრძნობლად შეამცირა მჟავე რეაქცია(ანუ ასწია Ph სიდიდე) და მცენარის განვითარებისათვის შეიქმნა ხელსაყრელი პირობები.

Imporvement of acid soils of Western Georgia using natural marl

Giorgi Ghamabshidze- Academic doctor of Agriculture,
Naira Kenchiashvili- Academic doctor of Agriculture,
Maia Tarkhnishvili-MSc in Agriculture,
Guliza Zardiashvili- Academic doctor of Agriculture,
Tamar Jolokhava, MSc in Agriculture

Key words: marl, acid soil, maize, ammendment

Abstract

The pH of acid soils was considerably improved (raised) using natural marlafter 2 years since its first application under humid subtropical condition of Western Georgia and created a suitable environment for crops development.

მუხრან-საგურამოს ვაკის პირობებში ნიადაგის სხვადასხვა ფესით დამუშავების დროს სასუქების ნორმების გავლენა საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობაზე

ნოდარ მერაბიშვილი-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
მარიამ მერაბიშვილი –დოქტორანტი,
ლალი ბაიდაური-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ნიადაგის ჩვეულებრივი დამუშავება, ნიადაგდაცვითი დამუშავება, ამონიუმის გვარჯილა, სამმაგი სუპერფოსფატი, კალიუმის მარილი.

რეფერატი

მუხრან-საგურამოს ვაკის პირობებში, როგორც ჩვეულებრივი, ისე ნიადაგდაცვითი დამუშავების ფონზე საშემოდგომო ხორბლისთვის ოპტიმალური ვარიანტი აღმოჩნდა მინერალური სასუქების N90P90K60 კგ/ჰა დოზის გამოყენება, ხოლო ორგანულ-მინერალური სასუქების ერთობლივად გამოყენების შემთხვევაში ნაკელი–50 ტ/ჰა+N45P45K30. ამასთან ერთად, ნიადაგდაცვითი დამუშავების დროს მიღებული ხორბლის მოსავალი შედარებით მაღალია, ვიდრე ნიადაგის ჩვეულებრივი წესით დამუშავებისას.

Impact of fertilizer norms during the treatment of various grains of soil under the Mukhrani-Saguramo valley on the fall of Autumn wheat

Nodar MerabiSvili -Doctor of Agricultural Sciences; Professor,
Mariam Merabishvili - Ph.D. Student,
Lali Baidauri- Academic doctor of Agriculture

Key words: The usual processing of soil, soil protective processing, Ammonium nitrate, Triple superphosphate, Potassium salt.

Abstract

In the conditions of Mukhran-Saguramo vacuum, as an ordinary and soil conservation process, optimal use of N90P90K60 kg/ha dose of mineral fertilizers was applied, and in case of joint use of organic-mineral fertilizers - Nut - 50 ton/ ha + N45P45K30 Cultivation of grain obtained during so-called soil protection incomparison, soil by conventional processing.

ორგანული სასუქების გამოყენება ბუნებრივ სათიბ-საძოვრებზე

იოსებ სარჯველაძე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საკვანძო სიტყვები: მდელო, სასუქი, სათიბი, საძოვარი, ვადები, ბალახნარი, სახეობები, მა-რცვლოვნები, პარკოსნები, წუნწუხი, ნაკელი.

რეფერატი

ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე გადამწვარი ნაკელი ჩვეულებრივ შეაქვთ 4-5 წელიწადში ერთხელ, ჰექტარზე 15-20 ტონა, ხოლო არასაკმარისად გადამწვარი 20-30 ტონა. სასუქად ვარგისია ყველა სახის პირუტყვის ნაკელი, მაგრამ ბალახნარის მოსავლის ყველაზე მეტ ნამატს იძლევა ცხვრის, შემდეგ ცხენის, ღორის და ბოლოს მსხვილი რქოსანი პირუტყვის ნაკელი. ერთხელ შეტანილი ნაკელის მოქმედება ბალახნარის მოსავლიანობაზე 5-6 წელზე მეტხანს გრძელდება. ნაკელის ანაზღაურება ბალახნარის მოსავლის ნამატით შედარებით დაბალია მშრალი ველის უროიან საძოვრებზე. მთის პირობებისათვის კი უფრო მაღალია სუბალპებში, შედარებით დაბალია ალპურ ზონაში.

Use of organic fertilizer on natural hay-pastures

Josef Sarjveladze - Professor of Georgian technical university, Consultant of scientific-research center.

Key words: Meadow, fertilizer, hayland, pasture land, deadlines, grass/herbage, species, cereals/grains, legumes, liquid manure, manure.

Abstract

The dry dung\manure is puted in usually once in 4-5 years at natural feed lands, 15-20 tones per hectare, and inefficientrly dry 20-30 per hectare. For fertilization is suitable dung of all kinds of cattle, but the most of herb harvest is given by using of sheep dung, after the horse, pig and the least by using of cattle dung. The action of once filled dung on herb productivity lasts more than 5-6 years. Growth level of herb harvest by using organic fertilizers Is low on dry grassy pastures. For conditions of mountains its higher in sub alps, and comparatively low in the alpine zone.

მელიორაცია და ირიგაცია
Melioration and Irrigation

მჟავური ღვიმების გავლენა ცოცხალ ორგანიზმებზე

გიორგი ხომასურიძე-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: მჟავური წვიმა, ცოცხალი ორგანიზმები, აგრარული კულტურები

რეფერატი

სტატიაში განხილულია მჟავური წვიმების გავლენა წყალსატევის ბინადრებსა და აგრარულ კულტურებზე. მჟავურ წვიმას შეუძლია გამოიწვიოს თევზის ზოგიერთი სახეობის დაზიანება, პოპულაციისა და ბიომრავალფეროვნების შემცირება. დაბალი pH-ის დონეს პირდაპირი ტოქსიკური გავლენა აქვს თევზებსა და აგრარულ კულტურებზე. pH-ის დონის შემცირება იწვევს ზოგად სტრესს, რომელმაც შესაძლოა არ გამოიწვიოს თევზის რომელიმე სახეობის განადგურება, მაგრამ გამოიწვიოს მათი ზომისა და წონის შემცირება.

ზოგიერთ სახეობას შეუძლია იარსებოს გარკვეული სიმჟავის წყლებში, მაგალითად სალამანდრებს, ქარიყლაპიას, სკალარიასა და კალმახს, ხოლო ბაყაყებსა და მტკნარი წყლის ქორჭილას უფრო მჟავა გარემოშიც შეუძლიათ ბინადრობა.

მჟავური წვიმების გავლენა მაშინვე აისახება ბოსტნეულ კულტურებზე, რომლებიც ზიანდება და იწყებს ხმობას. მცენარეებიდან ლურჯი მოცვი არის მჟავიანობის მიმართ უფრო რეზისტენტული, ვიდრე ოხრახუში, ბოლოკი, როზმარინი და პაპრიკა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მტკნარი წყლის ბინადრები მჟავიანობის მიმართ უფრო რეზისტენტულები არიან, ვიდრე მარილიანი წყალსატევის ორგანიზმები.

Acid Rain Effects on Living Organisms

Giorgi Khomasuridze-PhD student of TSU, Department of Geography

Key words: Acid Rain, Living Organisms, Crops

Abstract

This article describes the acid rain effects on aquatic organisms and agricultural crops. Acid rain can harm species of some fish, reduce population numbers and decrease biodiversity. Low pH is directly toxic to fish and crops. In addition, low pH levels cause chronic stress that may not eliminate some species of fish, but leads to lower body weight and smaller size.

Several species can tolerate some amount of acid, for example salamanders, pike and trout. Frogs and perch can tolerate water that is more acidic than abovementioned species.

Acid rain has immediate effects on vegetable crops and make them damaged and dried. Blueberry is more acid resistant, than parsley, radish, rosemary and paprika.

The study determined, that habitants of freshwater are more resistant with low pH rate, than saline water organisms.

წვეთოვანი სარწყავი სისტემების საექსპლოატაციო პარამეტრების განსაზღვარა

ელგუჯა შაფაქიძე-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
დიმიტრი ნატროშვილი-ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საკვანძო სიტყვები: მელიორაცია, მორწყვა, სისტემა, წვეთური რწყვა, დრეკადი მილი, ტუმბო.

რეფერატი

სტატიაში განხილულია სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის ერთ-ერთი ძირითადი სისტემა, როგორიცაა წვეთოვანი სარწყავი სისტემა. რამდენიმე დღეში ერთხელ მცირე დოზებით მორწყვისას, მცენარეები უკეთ ითვისებენ წყალს და საკვებ ელემენტებს, ამავე დროს ნარჩუნდება ნიადაგის ჰაერტევადობა, რაც მცენარეთა ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას იძლევა. იმის გამო, რომ წვეთოვანი მორწყვით წყლისა და საკვები ელემენტების შეტანა ხდება უშუალოდ მცენარის ფესვთა სისტემასთან, სარეველა მცენარეებისათვის იქმნება უფრო ნაკლებად ხელსაყრელი გარემო. წყლის თანაბარი განაწილებიდან გამომდინარე გამორიცხულია ცალკეული უბნების ზედმეტად დატენიანება ან ურწყავად დარჩენა.

სტატიაში წარმოდგენილია აღნიშნული სისიტემის საექსპლუატაციო პარამეტრების განსაზღვრის მეთოდიკა, რაც მნიშვნელოვანია წვეთოვანი სარწყავი სისტემების ძირითადი პარამეტრების განსაზღვრისათვის, რომელსაც მელიორაციაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

DETERMINING THE OPERATIONAL PARAMETERS OF DRIP IRRIGATION SYSTEMS

Elgudja Shapakidze- Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences,
Dimitri Natroshvili- Doctor of technical Sciences, Professor

Key words: Myelioration, watering, system, drip irrigation, flexible shaft, pump.

Absract

The article deals with one of the main systems of agricultural melioration, such as drip irrigation system. Once in a few days when irrigated in a small dose the plants are getting water comparatively better way as well as nutrition. At the same time maintaining the soil's aeration, which allows the normal functioning of plants. Because of the fact that using drip irrigation which allows provision of water and nutrition elements directly with the roots, this creates unfavourable environment for weeds. Depending on the equal distribution of water, excessive moisture or leaving certain plots unirrigated is excluded. The article describes the methodology for determining the operational parameters of the system, which is important for determining the basic parameters of drip irrigation systems, which are more practical in melioration.

წვეთური მორწყვის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მეთოდები

ოლღა ხარაიშვილი-სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.
გიორგი ნატროშვილი-აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი,
მეგი გლუნჩაძე-სტუ-ს მაგისტრანტი.

საკვანძო სიტყვები : წვეთური მორწყვა, მულჩირება, ნიადაგი, ღია გრუნტი.

რეფერატი

სტატიაში განხილულია წვეთური რწყვის მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ზრდა-განვითარებისა და მაღალი მოსავლის მიღებაში. მოცემულია წვეთური მორწყვის ტექნოლოგია; განსაზღვრულია ნიადაგში ტენის გადაადგილების სიჩქარე, მულჩირებისა და ღია გრუნტის პირობებში; აღნიშნულია წვეთური მორწყვის ეკონომიურობა და ნათქვამია , რომ წვეთური მორწყვა მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი უახლესი და ამავე დროს პროგრესული მეთოდია, იგი ძირითადად გამოიყენება ცხელი და მშრალი კლიმატის ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, მოყვანილია ისრაელის მაგალითი; გაკეთებულია სათანადო დასკვნები, რომელიც ხელს შეუწყობს წვეთური მორწყვის ფართო დანერგვას და საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად აამაღლებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას.

Methods for assessing the economic efficiency of drip irrigation

Olga Kharaishvili – Associate Professor of Georgian Technical University,
Academic doctor of Agriculture,
Georgy Natroshvili- Academic doctor of agroengineering,
MEGI Glunchadze-master of GTU.

Key words: Open undisturbed, soil, Mulchin,,Drip irrigation

Abstract

Based on our research, we can conclude that growing agriculture economically diluted is economically efficient and profitable, which confirms the experience of developed countries in the country, and its implementation is more profitable and beneficial for farmers.

It should also be noted that the drainage irrigation system significantly increases the yield of agricultural crops due to our research and improves their quality; irrigation water is supplied with the dosage of the plant. In our case, the survey was conducted on the plant and melon. The dosage was supplied with irrigation water and excluded due to lack of water. It should also be noted that its disadvantage is that the sheet will be invested in capital, but in the end it will be highly efficient and profitable.

მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია
Mechanization and Electrification

კარტოფილის ამღები მანქანების ძირითადი სამუშაო ორგანო და მისი მუშაობის ანალიზი

ვლადიმერ მირუაშვილი– სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
გიორგი ქუთელია–სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგრო-

საინჟინრო სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
ხვიჩა გოჭოშვილი–გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სოფლის მეურნეობის სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის,
სოფლის მეურნეობის სამმართველოს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი,
ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
გიორგი ტორიაშვილი–სატრანსპორტო კომპანიის ინჟინერ-მექანიკოსი.

საკვანძო სიტყვები: კარტოფილი, მანქანა, კომბაინი, ღერო, სამუშაო ორგანი, ტრანსპორტირება, სეპარაცია, ტრაქტორი, სექცია, მუხლა ლილვი, ბერკეტი.

რეფერატი

კარტოფილის აღება მძიმე და შრომატევადი პროცესია. ნაკვეთის ხარისხიანი მომზადება კარტოფილის ასაღებად, განსაზღვრავს მანქანის ეფექტურ მუშაობას. კარტოფილის მანქანებით აღების პროცესი მოიცავს: აღების წინ ღეროების მოცილება (ღეროების ვერტიკალური ფრეზით დაქუცმაცება); კარტოფილის ნიადაგიდან ამოღება (ამოყრა); ნიადაგიდან ხელით აკრეფა და ტომრებში ჩატვირთვა; სატრანსპორტო საშუალებაში ტომრებით ჩატვირთვა; ნაკვეთიდან საცავამდე კარტოფილის ტრანსპორტირება; საცავში შეტანა და ჩამო–ტვირთვა ან სახარისხებელი მანქანის მიმღებ ბუნკერში ჩატვირთვა. კომბაინით აღების დროს ამ ოპერაციების უმრავლესობა ერთიანდება და იგი მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: აღების წინ ღეროების მოცილება (ღეროების ვერტიკალური ფრეზით დაქუცმაცება); კომბაინით კარტოფილის ნიადაგიდან ამოღება სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვა; ნაკვეთიდან საცავამდე კარტოფილის ტრანსპორტირება; საცავში შეტანა ჩამო–ტვირთვა ან სახარისხებელი მანქანის მიმღებ ბუნკერში ჩატვირთვა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხელით გასაწევ მძიმე შრომას და კარტოფილის თვითღირებულებას.

THE MAIN WORKING BODY OF THE POTATO MACHINE AND THE ANALYSIS OF ITS WORK

Vladimir Miruashvili[1], Giorgi Kutelia[2], Khvicha Gotchashvili[3], Giorgi Toryashvili[4],
[1]LEPL Agricultural Research Center for Agriculture Agro - Chief Specialist of Engineering Service, Academic Doctor of Technical**;**
[2]LEPL Agricultural Research Center for Agriculture Agro-Chief Specialist of Engineering Service, Academic Doctor of Technical;
[3]Ministry of Environment Protection and Agriculture, Department of Agriculture and Rural Development, Senior Specialist of II Category of Agricultural Division, Academic Doctor of Technical;
[4]Engineer of transport company.

Key words: potatoes, car, combine, straw, work organ, transportation, separation, tractor, section, knee lift, lever.

Absract

Potatoes are a hard and laborious process. Quality preparation of the plot determines the efficient operation of the car. The process of taking potato cars includes: Removal of stems (cracking of vertical sheets); Extracting from the soils Manually tap into the soil and load into the bags; Load the bags in the means of transport; Transportation of potatoes from the plot to the storage; Load and download, or load the bugger into the carrier vehicle. The majority of these operations are combined in combination with the combine, and it includes the following operations: removal of stalks (cutting the vertical sheet of the stalks) before taking; Combination of potatoes from the soil with a combine to be transported; Transportation of potatoes from the plot to the storage; Download into the storage, or load the carrier into a car binser, which significantly reduces the hard work and potato cost.

მცენარეთა დაცვა
Plant protection

თხილის დაავადებანი და მათ წინააღმდეგ ბრძოლა

ლ. ბერაძე–ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: თხილი, დაავადება, სოკო, კონიდიათტარი, სკლეროციუმი, მიცელიუმი, კონიდიუმი, კლეისტოკარპიუმი.

რეფერატი

თხილის დაავადებათა შორის თავისი მავნეობითა და უარყოფითი მნიშვნელობით ფრიად საყურადღებოა შემდეგი დავადება: თხილის ნაცრისფერი სიდამპლე, თხილის ყავისფერი სიდამპლე, თხილის ვარდისფერი სიდამპლე, თხილის ფუზარიოზული ლპობა, თხილის ფომოზი, თხილის მონილიოზი, თხილის ალტერნარიოზი, თხილის ნაცრისფერი სილაქავე, თხილის ვერტიცილიოზური ხმობა, თხილის ნაცარი. სტატიაში მოცემულია მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

Hazelnut diseases and control

L. Beradze- Academic Doctor of Biology

Key words: Nuts, mushrooms, disease. gognitive, sclerosis, miscellium, conjunctivitis, clysitocarpium.

Abstract

Among the hazardous illnesses and the negative significance of the following are important: Botryotinia fuckeliana, Piggoitia coryli, Trichotheaum roseum Link, Fusarium sambukinum Fuck, Phoma revellens sacc, Monilia fructigena Pers, Alternaria alternata (Fr) Keisl, Pestalotiopsis gyepini (Desm) Steyaret, Verticilium hepaticum (Wallz) Rabl, Phyllactinia gutata.

ციტრუსოვანთა დავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა

ლამზირი ბერაძე-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ციტრუსი, სოკო ბაქტერია, მიცელიუმი, სპორა, პიკნიდიუმი, სკლეროციუმი, ქლამიდოსპორა, ეპიფიტოტია, პოლიფაგი, პათოგენი.

რეფერატი

ციტრუსოვანთა დაავადებებს შორის თავისი მავნეობითა და უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობით ფრიად საყურადღებოა შემდეგი დავადებანი: ციტრუსოვანთა ინფექციური ხმობა (მალსეკო), ციტრუსოვანთა მეჭეჭიანობა-„Scab“, ციტრუსოვანთა მელანოზი ანუ შავი ლაქიანობა, გომოზი, ანთრაქნოზი, ნაცრისფერი სიდამპლე, ალტერნარიოზი, ციტრუსოვანთა ვერტიცილიოზური ხმობა და ბაქტერიალური დავადება -ციტრუსოვანთა ბაქტერიალ;ური ნეკროზი-ციტრუსბლასტი.

ნაშრომში მოცემულია აღნიშნულ დაავადებათა საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებები.

Citrus diseases and their management

Lamziri Beradze-academic doctor in biological

Key words: citrus, fungus, bacteria, disease, micellium, spora, pycnidium, sclerotia, chlamydospore, epiphyte, polyphagia, pathogene.

Abstract

Some of the citrus diseases can be distinguished among others with their particular harmful character and negative economic effect : citrus infectious drying (Mal Secco), citrus scab, phytophtorosis, citrus melanose or black spot, anthracnose, botrytis rot or gray mold, alternaria, gummosis, verticillium wilt. Besides, bacterial diesease-bacterial necrosis or citrus blast is harmful for citrus fruit.

The following work discusses the main causes and symptoms of those diseases, and enabling conditions for spreading the diseases, and measures to combat with them

მეცხოველეობა და საკვებწარმოება
Livestock and feed production

საქართველოში სანაშენე მეკვერცხული მეფრინველეობის განვითარების პერსპექტივები

თენგიზ ფირცხალაიშვილი-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
კობა ნაცვალაძე-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
თამაზ წიქარიშვილი

საკვანძო სიტყვები: კროსი, საინკუბაციო კვერცხი, სანაშენე რეპროდუქტორი, მშობელთა ფორმები.

რეფერატი

მეკვერცხული მეფრინველეობაში სანაშენე პროდუქციის 27 წლიანი წყვეტის შემდეგ შპს "საბუდარას" ბაზაზე დაფუძნებულმა მეორე რიგის სანაშენე რეპროდუქტორმა 2018 წლის თებერვლიდან დაიწყო გერმანული მაღალპროდუქტიული კროსის "ლომან ლსლ კლასიკის" საინკუბაციო კვერცხის წარმოება. სანაშენე გუნდი 20 კვირის ასაკში დაკომპლექტდა დედისეული ფორმის 16047 ფრთა კვერცხმდებლით და მამისეული-1698 ფრთა მამლით. 60 კვირაში წარმოებული და ინკუბირებული იქნა 1236 899 ცალი საინკუბაციო კვერცხი. საინკუბაციო კვერცხის მასამ საშუალოდ შეადგინა 60,7 გ. მიღებულია 1 126 925 ფრთა კონდიციური წიწილა. გამოჩეკის პროცენტმა შეადგინა 91,11 %.

Prospects of development of Georgian breeding of poultry-farming

Tengiz Pirtskhalaishvili-Academic doctor of Agriculture,
Koba Natsvaladze-Academic doctor of Agriculture,
Tamaz Tsikarishvili

Absract

The second step reproducer founded on the base Ltd. ,,Sabudara'', since February 2018 after 27 years of breakdown, began to produce incubation egg, the German high quality cross ,,Loman LSL Classic''.

With the purpose of the complete satisfaction of demand for the Georgian population on grocery egg (888 ml. Piece), farmers need to have 3 millionhigh-quality egg-layerpoultry and we need to increase the second-generation reproducer's capacity to 37 thousand wings.

In the near perspectivewe do not see the need for reproduction of the firstbreeding reproduction of the cross and moreover the necessity of functioning this barrier in Georgia due to the lack of breeding material needed for second breeding reproduction.It is advisable to impose breeding of cross chicken only in parental forms and the implementation of the second reproductions on the place to produce the final hybrid incubation egg and supplying farmers witha one-day supply.

კვების მრეწველობა
Food Industry

ბიოაქტივის (სტიმუფუნგის) გავლენა მცენარის შენახვისუნარიანობასა და ნაყოფის საგემოვნო თვისებებზე

ეთერი ჯაყელი - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი [1]
მიხეილ ჭიჭაყუა - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი [2],
ნიკოლოზ ზაზაშვილი - ვეტერინარიის აკადემიური დოქტორი [2],
ნოდარ მინდიაშვილი - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი [2]

[1] ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
[2] ბიორაციონალური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრი

საკვანძო სიტყვები: ბიოპროდუქტი, ბიოაქტივი, ხარისხობრივი მაჩვენებლები, შენახვისუნარანობა, ვაში–ნგტონ-ნაველი.

რეფერატი

შესწავლილია ბიოაქტივის (სტიმუფუნგის) გავლენა ფორთოხლის ვაშინგტონ-ნაველის ნაყოფის შენა–ხვისუნარიანობასა და საგემოვნო თვისებებზე. კვლევა ჩატარდა ნაყოფების შენახვამდე და შენახვის შემდეგ. ბიოაქტივის (სტიმუფუნგის) გამოყენება ფორთოხლის მცენარეში მნიშვნელოვნად ზრდის ნაყოფების შენა-ხვისუნარიანობას და საგემოვნო თვისებებს. იგი ასევე ეფექტურია ფორთოხლის ნაყოფებში კარგი საგემოვნო თვისებების შენარჩუნებაში შენახვის შემდეგაც.

The Effect of Bioactive (Stimufung) on the Persistence of Plants and the Taste Traits of the Fruit on the Example of Citrus

Eter Jakeli – Academic Doctor of Biology[1],
Michael Chichakua - Academic Doctor of Biology[2],
Nikoloz Zazashvili - Academic Doctor of Veterinary[2],

Nodar Mindiashvili - Academic Doctor of Biology[2]

[1]Batumi Shota Rustaveli State University,
[2]Biorational Technologies Research Center

Key words: bioproduct, Bioactive, qualitative indicators, storageability, Washington Navel.

Abstract

